



ათი მარტივი ქმედება, რომლის შესრულებით მუზეუმს შეუძლია 2019 წლის 29 ნოემბრის მოძრაობის მხარდაჭერა

მოცემული იდეების უმეტესობა მარტივია, მაგრამ გარკვეულ მომზადებას მოითხოვს.

1-5 პუნქტი უშუალოდ კლიმატის ცვლილებებზე ბრძოლას მოიცავს, 6-10 პუნქტი კი მუზეუმში მუშაობის სპეციფიკას ეხება.

შეგიძლიათ თავად აირჩიოთ ისეთი ქმედება, რომელიც შეესაბამება თქვენს ორგანიზაციას და თქვენს საქმიანობას.

1. იყავით კეთილგანწყობილი მათ მიმართ, ვინც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ იბრძვის. ნება მიეცით მათ, ისარგებლონ თქვენი საპირფარეშოთი, წყლით და საზოგადოებრივი სივრცეებით.
2. შექმენით საბავშვო სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა მდგრადი განვითარების თემაზე. ეს მოტივაციას გაუჩენს მათ მშობლებს შეუერთდნენ პარასკევის აქციას* მდგრადი მომავლისთვის.
3. დაუთმეთ/ შესთავაზეთ სივრცეები აქციის ორგანიზატორებს ვორკშოპებისა და მასტერ-კლასების ჩასატარებლად.
4. გამოიყენეთ ჰეშთეგი #ArtStrike და ხელოვნების ნიმუში აქციის იდეის განვითარებისათვის
5. მოახდინეთ აქციის მიმდინარეობის დოკუმენტირება
6. მოჰყვით ისტორიები წარსული ეპოქის ახალგაზრდა აქტივისტების შესახებ. მოაწყვეთ ექსპოზიცია ან შეიმუშავეთ პროგრამები, რომელიც მოგვითხრობს იმ ადამიანების ისტორიაზე, რომლებიც იბრძოდნენ კლიმატის ცვლილებების საკითხებში.
7. მუზეუმების კაფეებში გამოიყენეთ მხოლოდ ადგილობრივი და მცენარეული პროდუქტები. ჯერ ერთ დღეზე, შემდეგ ორზე და ა.შ.
8. მუზეუმის საქმიანობის თუნდაც რაღაც ნაწილი გახადეთ მდგრადი. კომუნალური მომსახურების ქვითარი, ტრანსპორტი, შეფუთვა... თუ შეცვლით ერთ რაღაცას ყოველ ჯერზე, ეს უკვე ცვლილებაა. ამ გზით ნელ-ნელა მიუახლოვდებით ეკოლოგიურ დონეს!
9. გაუწიეთ პროპაგანდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას მუზეუმში მოსასვლელად. მოამზადეთ დეტალური ინსტრუქცია და არ დაგავიწყდეთ ახსენოთ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა მოხერხებული/კომფორტულია.
10. შეწყვიტეთ დაფინანსების მიღება იმ კომპანიებისგან, რომელთა საქმიანობა აზინძურებს გარემოს. ჩატარეთ თქვენი ყველა სპონსორის შესაბამისი შემოწმება: არ არსებობს ფსევდო-ეკოლოგიურად პასუხისმგებელი კომპანია.

მოვუწოდებთ მუზეუმის ყველა სპეციალისტს, შემოუერთდნენ ცვლილების ამ აქციას. გადაუღეთ ფოტო ყველა განხორციელებულ ქმედებას და გააზიარეთ ისინი ამ ჰეშთეგის #MuseumsForFuture ქვეშ ან გააგზავნეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: action@museumsforfuture.org

გამოიწერეთ ჩვენი სიახლეები მომავალი აქციების შესახებ, ასევე გაითვალისწინეთ **Culture Declares**. თუ უკვე განხორციელებულ მსგავსი აქცია გამოფენების, ტრენინგის, ღონისძიებების, განათლების და სხვა სახით, გთხოვთ, შეავსოთ კითხვარი.

მადლობა!

**პარასკევის აქცია მომავლისთვის საერთაშორისო საზოგადოებრივი მოძრაობაა, რომლის მონაწილეები პოლიტიკოსებისგან ითხოვენ „სწრაფ და გადამწყვეტ ქმედებას“ გლობალური დათბობის წინააღმდეგ.*